ტონს აძლევენ ნახევარმცველები

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 12 ნოემბერი. 12 გრადუსი. 40 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) - “სპარტაკი” (მოსკოვი) 2:1 (1:0).

გოლები გაიტანეს – ცხოვრებოვმა (4) და მესხმა (60) ორივე (“დინამო”) – 1:0, 2:0, სიომინმა (66) (“სპარტაკი”) - 2:1.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი (ხუციშვილი -71), ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

“სპარტაკი”: მასლაჩენკო, დიკარევი (როჟკოვი - 46), ვარლამოვი, კორნეევი, კრუტიკოვი, პეტროვი, რეინგოლდი, ამბარცუმიანი, ლოგოფეტი, სიომინი, ჰუსაინოვი.

მსაჯი ვ. ხოდინი, გვერდითი მსაჯები ბარანოვსკი (ორივე მინსკი), და პოდშივალენკო (მოგილევი).

დუბლიორები - 0:0.

მოსკოვის “სპარტაკი” ერთ-ერთი იმ გუნდთაგანია ცსკა-სა და მოსკოვის “დინამოსთან” ერთად, რომელსაც დადებითი ბალანსი აქვს თბილისის დინამოელებთან შეხვედრებში **სსრ კავშირის 27 ჩემპიონატის ისტორიაში. სპარტაკელებმა მოიგეს 21 მატჩი, თბილისელებმა - 19, 7 დამთავრდა ფრედ.** გუშინ ეს განსხვავება დავიდა მინიმუმამდე: “სპარტაკი” ახლა მხოლოდ 1 მოგებითაა წინ.

ეს ციფრობრივი მონაცემები მოწმობენ ამ ორი გუნდის ძალთა თანაფარდობას და გუშინდელი მატჩიც თანაბარ, ძალიან საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. მოსკოველებმა აირჩიეს სისტემა 4+3+3, რომელიც სრულდებოდა ბურთის ხანგრძლივი, ზუსტი გათამაშებით მინდვრის შუაგულში. შეტევის დაბოლოება დაგეგმილი იყო ერთ-ერთი ფორვარდის სწრაფი გაყვანით სახიფათო პოზიციაში და სტუმრებს - რეინგოლდს, ამბარცუმიანს, სიომინს მართლაც ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა, რომლებიც არ იქნა გამოყენებული. ამასთან, საუკეთესოდ ითამაშა მეკარე ურუშაძემ.

თბილისელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნახევარდაცვის კვალიფიციური, აქტიური მოქმედება. ხართიშვილი და ილიადი საუცხოოდ თამაშობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე, ოსტატურად ასრულებდნენ თავიანთ რთულ ფუნქციებს.

ანგარიშის გახსნა წილად ხვდა დინამოელთა მცველს - ცხოვრებოვს. მოსკოველთა კარიდან დაახლოებით 35 მეტირს მანძილზე დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. მცველები და მეკარე მასლაჩენკო, ალბათ, ბურთის გათამაშებას ელოდნენ. ცხოვრებოვმა მიზანში კარი ამოიღო და ზუსტადაც შეასრულა დარტყმა - 1:0.

58-ე წუთზე ბარქაიამ ძნელ მდგომარეობაში მოუგო ბრძოლა ვარლამოვს, გადასცა ბურთი ცენტრში, სადაც დიდი სისწრაფით შეიჭრა მესხი და წამით დაასწრო მცველებს - 2:0.

დარჩენილი დრო სპარტაკელებმა მაქსიმალურად გამოიყენეს. ისინი განუწყვეტლივ, უაღრესად სახიფათოდ უტევდნენ და “დინამოს” დაცვას დიდი

დატვირთვა დააწვა თავს. ერთ-ერთი იერიშისას სიომინმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ გამარჯვება ამ საინტერესო მატჩში მაინც თბილისელებს დარჩათ.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 13 ნოემბერი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 13.11.65.